

ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩის N21 საცხოვრებელი სახლის N12 ბინაზე,
მოქალაქე ემზარ მიქაუტაძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და
მოწმობის გაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ , საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილებისა და მოქ. ემზარ მიქაუტაძის განცხადებების (2014 წ. 14.08.Nმ-6365;04.08.Nმ-6077), თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩის N21 საცხოვრებელი სახლის N12 ბინაზე საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ემზარ მიქაუტაძეს / პ/ნ N60301167795/.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურმა /ი. გაბრიჭიძე/ ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩის N21 საცხოვრებელი სახლის N12 ბინაზე საერთო ფართობი 54,46 კვ.მ., მათ შორის საცხოვრებელი ფართობი 28,52 კვ.მ. დამხმარე ფართობი 25,94 კვ.მ. მოქალაქე ემზარ მიქაუტაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

შოთა მურდულია